



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N15**

ქ.ლანჩხუთი

28.07.2017 წელი

**საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატი უფროსი) ნინო მიმიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) ია მოქია.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ**, აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მომზადება მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან ვერ მოესწრო, ამიტომ აღნიშნული საკითხის განხილვა საკრებულოს წევრების თანხმობით გადაიდო საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. კუნჭულია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

6 . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

8. სხვადასხვა :

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 18 დეპუტატი.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ნუგზარ ცინცაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მომზადდა „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ელი აპრილის N160 დადგენილების საფუძველზე. გეგმა შემუშავდა პროექტის - „მუნიციპალიტეტების დონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მოსამზადებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შეიქმნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც იგი თავად ხელმძღვანელობდა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 18 დეპუტატი.

მომხრე: 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N59 (28.07. 2017 წელი).

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის პირველმა მოადგილემ, ნუგზარ ცინცაძემ. მან აღნიშნა, რომ 2010 წლის 26 ნოემბრის N76 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კატასტროფების და კრიზისული სიტუაციების მართვისა და პრევენციის გეგმა“. იმის გათვალისწინებით, რომ დღის მდგომარეობით გაუქმებული ან არსებითად შეცვლილია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო N76 განკარგულებას, ასევე რეორგანიზებულია განკარგულებაში მოხსენებული სტრუქტურების ნაწილი, აუცილებლობას წარმოადგენს საკრებულომ დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილების შესაბამისად, წარმოდგენილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას, ხდება მხოლოდ სამართლებრივი აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 18 დეპუტატი.**

**მომხრე: 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 60 (28.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, მაგული კუნჭულიამ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.**

**მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N61 (28.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადების გათვალისწინებით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილება კერძოდ: 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული-„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამაში დაემატება სიტყვა რეგისტრირებული, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის“ პროგრამიდან ამოღებულ იქნა სიტყვა მცხოვრები, „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების“ პროგრამის მე16 პუნქტიდან ამოიღება სიტყვა მცხოვრები, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების“ პროგრამას დაემატება სიტყვა რეგისტრირებული, ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამას, ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის ემატება სიტყვა რეგისტრირებული და ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამიდან ამოღებულ იქნება სიტყვა მცხოვრები.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.**

**მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N62 (28.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 28 თებერვლის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N13 განკარგულების პირველი მუხლის, დანართი N1 და მე-2 მუხლის დანართი N2-ის შესაბამისად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა და გეგმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმაში უნდა მოხდეს ცვლილება, რაც განპირობებულია გეგმაში 5 საპრივატიზებო ობიექტის დამატებით. კერძოდ, ემატება გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2 თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით, ასევე მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობა და აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** წარმოადგინა სოფელ გვიმბალაურისა და სოფელ ჯუნეწრის 64 მაცხოვრებლის ხელმოწერა, რომლებიც ითხოვენ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობაში საბავშვო ბაღის განთავსებას, ვინაიდან აღნიშნული სოფლებიდან ქალაქის ბაღში მისასვლელად აღსაზრდელებს დიდი მანძილის გავლა უწევთ. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედი საბავშვო ბაღები აღსაზრდელების კონტიგენტით ძალზედ გადატვირთულია. მისი თქმით, აღნიშნული შენობა-ნაგებობა უპირობოდ უნდა იქნას ამოღებული საპრივატიზაციო ნუსხიდან, არ უნდა მოხდეს შენობისთვის პროფილის შეცვლა და მასში აუცილებლად უნდა განთავსდეს საბავშვო ბაღი ან რაიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება.

დეპუტატმა **ნიკოლოზ იმნაძემ** აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს დაახლოებით 2 000 მაცხოვრებელი, სადაც არც საშუალო სკოლა არის და არც საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, **ია ჩხაიძეს** მოსახლეობის მოთხოვნის გაჟღერებისთვის და დაეთანხმა კოლეგას, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა ამოღებულ უნდა იქნას საპრივატიზაციო ნუსხიდან.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ყოფილი

არასრული საშუალო სკოლის შენობაში რაიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება რომ განთავსდეს ის ამას მხოლოდ და მხოლოდ მიესალმება, მაგრამ უკვე მესამე წელია მიმდინარეობს თემაზე საუბრები, ქმედითი ნაბიჯები კი ამ მიმართულებით დღემდე არ გადადგმულა. იგი გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ მის წინ გამომსვლელი კოლეგა რამდენიმე დღის წინ დარგობრივი კომისიის სხდომაზე დაეთანხმა აღნიშნული ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას, დღეს კი სხვა პოზიცია დააფიქსირა. მისი მოსაზრებით, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა აუცილებლად უნდა შევიდეს საპრივატიზაციო ნუსხაში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის მიესალმება ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციას, რომელიც განავითარებს ბიზნესს და საბოლოოდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასიცოცხლოდ აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნა. მისი თქმით, გასულ წელს აქტიურად მიდიოდა მუშაობა აღნიშნულ შენობაში განთავსებულიყო საბავშვო ბაღი, მაგრამ იმ მოტივით რომ სოფ. მაჩხვარეთის საბავშვო ბაღი განტვირთავდა კონტიგენტს, ამ თემაზე მუშაობა შეწყდა. სამწუხაროდ, ახალი ბაღის გახსნამ ეს პრობლემა ვერ მოაგვარა. მას არ მიაჩნია ის ქვეყანა მომავლის მქონე ქვეყნად, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულება იხურება და მის ნაცვლად გაურკვეველი დაწესებულება იხსნება.

საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ**, აღნიშნა, რომ აუცილებელია შენობას ჩაუტარდეს ექსპერტიზა, თუ მასში რამდენად არის შესაძლებელი განთავსდეს საბავშვო ბაღი, რამდენად უპასუხებს იგი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. მისი მოსაზრებით, უმჯობესია აშენდეს ახალი საბავშვო ბაღის შენობა, რადგან მისი გადაკეთება უფრო ძვირი დაუჯდება მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს ფრაქცია, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარის **ომარ გოგიჩაიშვილის** მოსაზრებით, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობაში აუცილებლად უნდა გაიხსნას საბავშვო ბაღი.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ნამდვილად უდგას პროფესიული კადრების პრობლემა, იგი ეთანხმება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს **ია ჩხაიძის** მოსაზრებას, რომ გაიხსნას რაიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ სასწავლო დაწესებულების გახსნის წინააღმდეგი ბუნებრივია არავინ არის, მაგრამ მისი გახსნის პრეროგატივა მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს. საბავშვო ბაღი, რომ აუცილებელია ეს სადავო თემა არ გახლავთ, მაგრამ აღნიშნული შენობაში რამდენად შესაძლებელია მისი განთავსება ეს სპეციალისტების შესასწავლია. მისი თქმით, უმჯობესი იქნება აღნიშნული



შენობა-ნაგებობის პრივატიზება მოხდეს, შემუსულ თანხას კიდევ დაემატოს გარკვეული ფინანსები და აშენდეს ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ აღნიშნა, რომ პრეფესიული სასწავლებლის გახსნა შესაძლებელია ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში.

საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი გამგეობის მხრიდან არ არის სრულყოფილად მომზადებული. მან დააყენა შემდეგი ინიციატივა: კომისიებში და ფრაქციებში დეტალურად განეხილათ აღნიშნული შენობა-ნაგებობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა არ შეტანის საკითხი, იგი დროებით ამოეღოთ საპრივატიზაციო ნუსხიდან და ისე ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის კენჭი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ მხარდაჭერილ იქნა, ამიტომ კენჭისყრაზე პირველ რიგში უნდა დადგეს წარმოდგენილი საკითხის თავდაპირველი ვარიანტი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს (თავდაპირველ ვარიანტს) :**

კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.

მომხრე: 5 დეპუტატი, წინააღმდეგი 15 დეპუტატი

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტის შესწორებულ ვარიანტს ( გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული შენობა ნაგებობის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებას).

კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.

მომხრე: 15 დეპუტატი, წინააღმდეგი 5 დეპუტატი ( გიორგი ჩახვაძე, ალექსანდრე მახათაძე, რომან ბიწაძე, გურამ კერესელიძე, იოსებ სარჯველაძე).

**დღის წესრიგის მექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან გამოიყო 707 225 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 37272 ლარი, სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 744497 ლარს. საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1394 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოიყო 1010000 ლარი.

შემოსული წერილების ანალიზიდან მიზანშეწოლილად ჩათვალა ა(ა)იპ ტექ-სერვისის დაფინანსება გაიზარდოს 23000 ლარით. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის 4750 ლარით; გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების მუხლი 1150 ლარით; ნიგოთის ადმინისტრაციული სახლისათვის კონდიციონერის შესაძენად. სოც:კულტურული ღონისძიების ხარჯი გაიზარდოს 1700 ლარით, აქედან 1200 ლარი ტრანსპორტის ხარჯებისათვის. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ტრანსპორტის ხარჯი გაიზარდოს 3000 ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 3500 ლარით. აღნიშნული ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების ზრდის ხარჯზე 74372 ლარით. ბინათმშენებლობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 1350 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების ხარჯი 1350 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 11 ივლისის N209 წერილის მოთხოვნის საფუძველზე დაფინანსება გაიზარდოს 23 000 ლარით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯიდან.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღზრდელი ცენტრის სუბსიდიის ხარჯის 22763 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 22763 ლარით.

საქართველოს მთავრობის 24/07/2017 წლის N1551 განკარგულებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობაზე მიიმართა 161545 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდიდან 153467 ლარი და თანადაფინანსებისათვის საკუთარი ხარჯებით უნდა გამოიყოს 8078 ლარი, ასევე მდინარე სუფსაზე ნაგავდამჭერის მოწყობაზე მიიმართა 167100 ლარი მათ შორის სახელმწიფო ფონდიდან 158750 ლარი და თანადაფინანსებისათვის საკუთარი ხარჯებით უნდა გამოიყოს 8350 ლარი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების ცვლილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საშტატო ნუსხაში შევიდა ცვლილება, შესაბამისად საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს უნდა 6500 ლარით შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების 6500 ლარით შემცირების ხარჯზე. ასევე გამგეობის შრომის ანაზღაურების მუხლის 192 000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 192 000 ლარით. 1000 ლარი საკრებულოს ტრანსპორტის რემონტის ხარჯი ბუნებრივი რესურსების

ხარჯზე. ბუნებრივი რესურსების ხარჯზე გამოიყოს 1000 ლარი საკრებულოს ტრანსპორტის რემონტის ხარჯებისთვის.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ როგორც გასულ წლებში ხდებოდა მუნიციპალიტეტის ბუჯეტის ჰაერზე გაზრდა და არ შესრულება, მისი მოსაზრებით 2017 წლის ბიუჯეტსაც იგივე ბედი ეწევა. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური და აღმასრულებელი ხელისუფლება მიხვდა რომ სარეზერვო ფონდიდან არ შეიძლებოდა თანხების გამოყოფა, ამიტომ მათ გამონახეს ძველი ნაცადი, უსახური მეთოდი და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირების ხარჯზე აპირებენ ბიუჯეტის შესრულებას, რაც იმთავითვე არასწორია. შემუსულია ა(ა)იპ საფეხბურთი კლუბ „ლანჩხუთის გურია“ წერილი 23 000 ლარის დავალიანებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, რეალურად კლუბს დაახლოებით 405 000 ლარი დავალიანება აქვს და საკვირველია ის ფაქტი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ როგორ დაუშვა კლუბი ჩემპიონატში, რომელსაც ასეთი დიდი ფინანსური დავალიანება აქვს.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილები პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.**

**მომხრე: 17 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, ომარ გოგიჩაიშვილი) მიღებულ იქნა დადგენილება N23 (28.07. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ამოქმედა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, აქედან გამომდინარე გარკვეული ცვლილებები და რეგულაციები არის შემოსაღები. მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებობდა საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე. მოქმედი კანონდებლობით უნდა გაუქმდეს აღნიშნული კომისია და ახალი კანონის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაკომპლექდეს. აქედან გამომდინარე საკითხზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება. მან მიმართა გამგებლის პირველ მოადგილეს ანალოგიური პროცესი უნდა დაიწყოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში და ეს ინფორმაცია დროულად მიეწოდოს გამგეობის იურიდიულ სამსახურს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.**

**მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;**

**მიღებულ იქნა განკარგულება N63 (28.07. 2017 წელი).**

სხვადასხვა:


დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებული თანამოქალაქეებს კონტრაქტორი ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ცუდ პირობებში ამუშავენ დასაქმებულებს, შეინიშნება მათი მხრიდან დამცირების ნიშნები, გასამრჯელოს დაკლება და ა.შ. მისი თქმით ვიდრე გაუთვალისწინებელი ფაქტი არ მომხდარა აუცილებელია ამ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნას კომისია, მუშა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და მოაგვარებს აღნიშნულ პრობლემას.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე ბესიკის ქუჩის მაცხოვრებელთა წერილი, რომლებიც აღნიშნულ ქუჩაზე სანიაღვრე არხების უხარისხოდ გაკეთებას აპროტესტებენ. ასევე, მისი თქმით ჭანტურიას ქუჩის მაცხოვრებელთა მოთხოვნა არის სანიაღვრე არხების გაკეთება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.